

ენათმეცნიერება Linguistic

„და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკურ-ინტონაციური ფუნქციისათვის ოტია იოსელიანის პროზაში

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ORCID:0000-0001-8490-4813

e-mail: mananamikadze123@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.08>

SJIF 2025: 8.584

„და“ კავშირის ფუნქციები და გამოყენების საკითხი არაერთხელ დასმულა ქართულ ენათმეცნიერებაში. „და“ კავშირი არა მხოლოდ გამოყენების სიხშირით გამოირჩევა, არამედ უფრო საინტერესოა მისი სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარამეტრები; კერძოდ, „და“-ს ძირითადი ფუნქციაა წინადადების კომპონენტთა სინტაქსურ-სემანტიკური დაკავშირება; იგი უმთავრესად მაერთებელი კავშირია, იშვიათად - მაქვემდებარებელი, კიდევ უფრო იშვიათად - მიერთებითი. სხვადასხვა ფუნქციის გათვალისწინებით განვიხილავთ „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკურ და ინტონაციურ პარამეტრებს ოტია იოსელიანის პროზის ენაში.

საკვანძო სიტყვები: კავშირი „და“, კავშირის სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარამეტრები

„და“ კავშირის ფუნქციები და გამოყენების საკითხი არაერთხელ დასმულა ქართულ ენათმეცნიერებაში (ნადარეიშვილი, 1970; ძიძიგური, 1989; დანელია, 1979, სარჯველაძე, 1984, ჭიკაძე, 2014).

„და“ კავშირი არა მხოლოდ გამოყენების სიხშირით გამოირჩევა, არამედ უფრო საინტერესოა მისი სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარამეტრები; კერძოდ, „და“-ს ძირითადი ფუნქციაა წინადადების კომპონენტთა სინტაქსურ-სემანტიკური დაკავშირება; იგი უმთავრესად მაერთებელი კავშირია, იშვიათად - მაქვემდებარებელი, კიდევ უფრო იშვიათად - მიერთებითი. სხვადასხვა ფუნქციის გათვალისწინებით განვიხილავთ „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკურ და ინტონაციურ პარამეტრებს ოტია იოსელიანის პროზის ენაში.

„და“ კავშირი პარატაქსულ კონსტრუქციაში

ოტია იოსელიანის პროზაში „და“ როგორც მაჯგუფებელი კავშირი აერთებს პარატაქსული კონსტრუქციის ისეთ კომპონენტებს, სადაც პირველ კომპონენტში მიზეზია დასახელებული, მეორეში - შედეგი: ჩვენ ჩვენი ხელით ყანაში გლერტა ბალახი ამოვჩიქნეთ და ხელებზე სისხლი გვადინა (ავტ. ნოველა); მაგრამ ბნელში მაინც მაცახცახებდა და სანამ დედა ჩემთან იყო, ვაღვიძებდი (ავტ.

ნოველა); შვილთაშვილებს მოესწრო და ისინიც მის ... კალთაში წამოიჩიტნენ (ავტ.ნოველა); - ... სახლს თუ დავუწვავთ, არ ვიცი და, ისე ხომ ხედავ, გარეთ არავინ იხედება (ხაფანგი, 291, 27); უნდოდა, დროზე ამოემაქრა და მისი გულის მოსაგებად აღარ დამზოგა (ხაფანგი, 292, 5); გოგოები გააფრთხილა და რამდენი ცხელ-ცხელი სილაქები მომხვდა ჩემი ამქრებისაგან, ვინ მოთვლის (ხაფანგი, 293, 8); მეორე დღეს ოთხი გოგო კოჭლობდა და ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა (ხაფანგი, 293, 23); ამ ბოლო დროს ჯიბილოც დუმდა და მით უფრო მინდოდა ახლა რაიმე ისეთი... (ხაფანგი, 294, 5); ...მოლზე, ერთგან თოვლი დაუყრიათ და კინაღამ შიშველი ფეხები არ დავადგი?! (ხაფანგი, 294, 35); - ... ახლა ზაფხულია და ფიჩხზე ვახურებ კეცებს... (ხაფანგი, 298, 32); ეს სასწავლებელი მხოლოდ ქალების "საკუთრებად" ითვლებოდა და იქ ისეთი არავინ იყო, დარეჯანი მოეხიბლა (შინაბერა, 11, 2); ჯერ ერთი, ბიბლიოთეკას თავს არავინ ატეხავდა და მეორეც, თითო-ოროლა მკითხველი ან საქმეშემოღეული თუ მაინც შემოეხეტებოდა, მათ შორის ისეთი არავინ იყო, ქალიშვილს თვალი და გული ერთად შევარდნოდა (შინაბერა, 11, 13); გაზეთები, ჟურნალები და წიგნები იმას დაღადებდნენ, ჩვენზე ბედნიერი ადამიანი ჯერ არ გაჩენილაო და თუ ეს მართლა ასე არ იყო, მთლად დაქცეული და დამხოზილი რავა იქნებოდა, ეგონა (შინაბერა, 14, 2); - ნუგემას მე რავარც საჭიროა, ისე ჩავაქვესკნელებ და იმ კაცის მხარე შენ დაიჭირე (თვითმკვლეელი, 30, 9); კომპონენტთა მიზეზ-შედეგობრიობა კიდევ უფრო გამოკვეთილია შესაბამის ზმნისართებზე „და“ კავშირის დართვით: და ამიტომ, და ამიტომაც, და ამის გამო.

და ამიტომ: და ამიტომ უბრალოდ, ლაფს კი არა, ლესტეკს ეძახდნენ (დედა, 52, 26); ეს უნდოდა დაროს, ამიტომ მოიკლა ქალმა თავი და ამიტომ ყურყუტობდა ამდენ ხანს? (ქვრივის ცრემლები, 98, 12); და ამიტომ თუ იყო, რაღაც გულს ეთანადრებოდა (ჩაჩნის კვესი, 212, 12); და ამიტომ მის ნუგზარს იმისთანა სიტკბო და გემო ჰქონდა, არაფერში გაერეოდა (აღათი, 353, 15); და ამიტომ თუ იყო, რომ გული მათთან დიდხანს არ მიდგებოდა (აღათი, 353, 34).

და ამის გამო: სამსახურში ამრეხით დაუწყეს ყურება და ამის გამო იყო გაღიზიანებული (ხაფანგი, 62, 24); მთელი ღამე თავაუწევლად აგროვებდა თივის ბულულებს და ამის გამოც გახდა ავად (შავი და თეთრი ძროხა, 62, 16).

კომპონენტთა ურთიერთშეპირისპირების გასაძლიერებლად „და“-სთან გამოყენებულია „კი“კავშირი: ... დედაჩემივით კი არ დაბნეულა და თავგზა კი არ დაუკარგავს (ავტ.ნოველა); მე ერთხანს თვალღია დავრჩი და არც კი ვიცი, როდის იყო ეს (მოთხრობები ოჯახზე, 26, 17); ეზოს ჭიშკარი ღია დარჩა და მეტი კი არ უნდა მეზობლის ღორს (ცხოვრების სიბრძნე, 31, 22); და ის კი არა, იმ მენავეს შეუძლია წყალზე გულადმა დაწვეს, დაწვეს და... დაიძინოს კიდევ, მაგრამ...(მენავე, 90, 22); ქვილიშორლებს მჭადის და პურის ფქვილი ბაზარში უნდა შეეძინათ და ბაზარი კი ხონში და ქუთაისში იყო (დედულეთი 56, 16); ქილიანს ყოველთვის უკუღმართული აზრები მოსდიოდა და მისი ამოცნობა გოგოებს კი არა, ჩვენც გვიჭირდა (ხაფანგი, 292, 9).

ამდენად, „და“ როგორც მაერთებელი კავშირი მონაწილეობს პარატაქსულ კონსტრუქციაში, რომლის კომპონენტებს ურთიერთთან აკავშირებს სტრუქტურულად და სემანტიკურად, სადაც „მეორე წინადადება წარმოადგენს დასკვნას გარკვეული მოვლენის შესახებ (გრიქოროვა, 1983, 11).

„და“ კავშირი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

„და“ კავშირის მაქვემდებარებელ კავშირად გამოყენება დადასტურდა ოტია იოსელიანის პროზაშიც. ნიშანდობლივია, რომ „და“ მაქვემდებარებელ კავშირად უმთავრესად გამოიყენება პერსონაჟთა მეტყველებაში, რაც მისი ამ ფუნქციის ზეპირი მეტყველებიდან მომდინარეობაზე მიგვანიშნებს. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში „და“ ხშირად ახლავს მაქვემდებარებელ კავშირებს და ვიღებთ ე.წ. გაწყვილებულ კავშირებს: **„და რომ, და რადგანაც, და თუ, და როცა, და რა..** ასეთ შემთხვევაში წინადადება შინაარსობრივად გამოხატავს მიზეზ-შედეგობრიობას, პირობით-შედეგობრიობასა და დროულ-შედეგობრიობას.

და რომ, და რადგანაც კავშირებიანი ქვეწყობილი წინადადება შინაარსის მიხედვით მიზეზ-შედეგობითია, სადაც მიზეზი დამოკიდებულშია გადმოცემული, შედეგი - მთავარში;

და რომ: ერთ გოგოს ბაფთა თმაში ჩაეწნა და რომ ვერ წავაძვრეთ, ნაწნავი წავაჭერთ (ხაფანგი, 290, 15); - სად და იქ!.. რისთვის, ვერ გეტყვით, და რომ მომვლათ, ვერ გეტყვით, წამოდი და თქვენი თვალით ნახეთ! (ხაფანგი, 297, 28).

და რადგანაც: და რადგანაც ჩვენი საერთო საცხოვრებელი ზედ რკინიგზის პირას იდგა, ხშირად ფეხით ჩამოვდიოდით ბეჭობე (ჩქარი მატარებლიდან, 18,3).

და თუ: წავალ, ვაჩვენებ და თუ მოეწონება, ჩემს ბედს ძალის არ დაჰყევს (ეპიტაფია, 44, 11); ქედზე გადმომდგარ ხარჯიხვს თუ თვალს მოჰკრავ და თუ ის ვერ შეგამჩნევს, რა გაქვს მაშინ სანერვიულს (ხარჯიხვი, 39,8).

და როცა: უბედურმა ქალმა ვერც ეს ნაბიჯი გადადგა დროულად და როცა ეს მოხდა, უკვე გვიან იყო (ავტობიოგრაფიული ნოველა); და როცა ხელსახოცით ღრანჭი აუკრა, თავიდან მოგლეჯილი ჩალისფერი ყაბალახი მიწას დაანარცხა (ეპიტაფია, 44, 12); და როცა ერთ გრძელ და შემზარავ ყმუილს გააბამდა (ლევანა, 51,3); და როცა ისევ გადაწვა ბელტი ბელტზე, დაავიწყდა წელანდელი შიში თუ გაოცება (ლევანა 56,30); და როცა ერთი გრძელი ნაფაზი გამოუშვა, ჩაიხვიხვინა: (ქვრივის ცრემლები, 104,24); და როცა ლუკაიას ფშვინვა ყურთან ჩაესმა, აცახცახებულმა ამოიკვნესა... (ქვრივის ცრემლები, 106,24); ეს ხმა მაინც სხვაა, ჯერ ერთი, მე დიტო მქვია და როცა მესალმებიან, დიტოს გაუმარჯოსო ან დიტო, იცოცხლეო (აკაციის ყვავილობა, 121, 18); და როცა ძარას გარეთ დარჩენილი მეორე ფეხი მაღლა ასწია, თავი ისევ კაბინაში შევმალე (აკაციის ყვავილობა, 121, 22); შევაჩერე და როცა ისევ წადგა ფეხი, დავმარი (აკაციის ყვავილობა, 124, 8); გადაწონა და როცა მზიდავებმა კონვეიერზე გასაცლელად წამოავლეს ხელი, შეაჩერა (აკაციის ყვავილობა, 131, 16); და როცა უკან გზას დავადექი, დაგუდული სიხარულის ბოლმინი დიღინი წამოვიწყე (აკაციის ყვავილობა, 132, 18); შენ უთხარი, შეაჩვიე, გინდა, მე მოვწერ ისე წყნარ წერილს და როცა უკეთესად იქნება, წაუკითხე-მეთქი (ცეცხლთან თამაში, 165, 19); შენ უთხარი, შეაჩვიე, გინდა, მე მოვწერ ისე წყნარ წერილს და როცა უკეთესად იქნება, წაუკითხე-მეთქი (ცეცხლთან თამაში, 165, 19); და როცა მთის წვერზე ახვედი და წინ ისევ ლუსკუმ ბნელს გახედე, წახდი ყაბახი! (მეწისქვილის ქალიშვილი, 172, 21); და როცა კუთხეში კედელზე მიმაგრებულ განჯინასთან ქალიშვილს შეასწრო თვალი (მეწისქვილის ქალიშვილი, 176, 14); და როცა ჭაღს ახალი ნათურა მოარგეს და სინათლე აანთეს, ხალხიც გამოჩნდა (კინოში, 223, 17); და როცა გვერდი იბრუნა და ფეხი გამართა, დამლაგებელს ერთიანად აემტვერებინა კლუბი და კინაღამ გაგიჟდა, - აქ რას აკეთებდიო?! (კინოში, 224, 9); და როცა დოლაბების ხმაური შორიდან სასიამოვნოდ გრუტუნად მოგვესმა, გავწირეთ თავი (სიცილი წისქვილის გზაზე, 234, 35); ბუნებას მაინცდამაინც არ გაუტაცნია და როცა კითხვით ამომხედა, მაშინვე გადაუშალე მომდევნო ნახატი (ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, 78, 2); შეგვამჭიდროვა და, როცა ჩვენი უბნისაკენ აღმართს აუყვავ, უკანა კართან ჩოჩქოლი ატყდა(დავა ავტობუსში, 258, 1); ...და როცა საგულდაგულოდ დავაგე, ტყავი არ დავზოგე და ჭიშკრის ბოგირქვეშ შევძვერი (ხაფანგი, 293, 11); ...და როცა იქაურობას გაცდა, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი ხიფათი, იქ გაექცა საჭე (ავტომანქანის გატაცება, 301, 18); და როცა ისევ გიგლას შეხედა, ეჭვი აღარ იყო, ის აქ იყო და მას ძალიან კარგად, ძალიან კარგად იცნობდა ელო (საახალწლო ნოველა, 315, 19); და როცა დაბამბული ჯუბა მხრებზე მოახურა მთლიანად აკანკალებულ ქმარს (ჯარისკაცი დაბრუნდა, 398, 7); და როცა დაბამბული ჯუბა მხრებზე მოახურა მთლიანად აკანკალებულ ქმარს (ჯარისკაცი დაბრუნდა, 398, 7); და როცა კვლავ მოესმა გაბმული ყმუილი, კვიცმა იფიქრა: (კვიცი და მგელი, 491, 10); და როცა იხილა ხასხასა ლურჯ ცაზე ანთებული ცეცხლის წითელი ბურთი (ხარჯიხვი, 494, 4); მიიხედ-მოიხედეს და როცა მათკენ გამალებით მომავალი შენიშნეს, მხერა მიაპყრეს, გაირინდნენ (ხარჯიხვი, 496, 2); თურმე შიში დასაკარგავის -სიცოცხლის შეუღლელობაა და როცა ყველაფერს კარგავ, შიშსაც კარგავ (ძალისხმევა, 116, 31); და როცა გაელავდა, დაგრუხუნებამდე ღრუბლებს სახრით ემუქრებოდა, თუ მოსალოდნელ მეხის დაცემას იგერიებდა (ივანეს მარიე - მზეთუნახავი, 151, 24); და, როცა კიბეზე ჩამოვდიოდი, მივხვდი, დიასახლისი უკან აღარ დამაბრუნებდა (ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 174,4); და როცა ზაფხულის არდადეგებიდან დავბრუნდი, ცირას ისე გაუხარდა, კინაღამ იტირა (ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 178, 20); და, როცა ხარებმა ნაბიჯს უკლეს, გაუსწორდა, მერე წინ წავიდა და დაიკარგა სიბნელეში (წყლის ქალი, 192, 24); და როცა მეგონა, წამოდგებოდა, ისევ გულადმა გაიშხლართა ბალახებში (ვარსკვლავთცვენა, თავი I, რიკ-ტაფელა, 380,10); და როცა ღვინისაკენ წავედი, რომ ბაწრით შავ ხართან გადამესარქა, გოჩას მივარდა: (ვარსკვლავთცვენა, გვ. 401,31); და როცა ეზიკა ჩემს ეზომდე მოკოჩილდა, ჭიშკართან დავხვდი (ვარსკვლავთცვენა, გვ. 492, 8).

და რა: მაშინვე მიხვდებოდი, რა სწყინდა და რა ახარებდა (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 40, 33); რა გაათენებს იანვრის ღამეს და რა დააღამებს მაისის დღეს (შავი და თეთრი ძროხა, 64,21); - კაი ერთი, სალაპარაკო არაა, ინახე, ინახე, იწვალე, იჯახირე და რა გამოვა მერე! (ზამთარი, 267, 3); და რა დღესაც იგრძნობ, რომ შეგიძლია გიყვარდეს, რა დღიდანაც გული ტოლსა და სწორს მოუხმობს (საახალწლო ნოველა, 308,4);

თუ ყველა ამ წინადადებას კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ რომ მთავარ წინადადებაში **შედეგია** დაფიქსირებული, ხოლო დამოკიდებულში - **მიზეზი, პირობითობა ან დროულობა**; ასეთი სახის ჰიპოტაქსური კონსტრუქციები არის **მიზეზ-შედეგობითი, პირობით-შედეგობითი და დროით-შედეგობითი**.

პროფესორ რ. ჭიკაძის აზრით, „სტრუქტურულად ასეთი სახის ე.წ. ზერთული წინადადება შედგება „და“-თი დაკავშირებული და თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული კომპონენტებისაგან - მთავარი წინადადების შედარებით დამოუკიდებელი ნაწილისა და ქვეწყობილი კომპონენტისაგან; სწორედ ამ უკანასკნელის მთავარს ახლავს დამოკიდებული, რომელიც, როგორც წესი, წინ უძღვის მას და განმარტავს ამ კომპონენტით გამოხატული მოქმედების მიზეზს, პირობითობას და ან დროულობას (ჭიკაძე, 2014, 115).

„და“ კავშირის ფუნქციისათვის ინტონაციურ სტრუქტურაში

შეიძლება თამამად ითქვას, რომ „არ არსებობს ენა ინტონაციის გარეშე, ისე როგორც არ არსებობს ინტონაცია კონკრეტული ლექსიკური და სინტაქსური წყობის გარეშე (ჟღენტი, 1963, 18). მიუხედავად იმისა, რომ წინადადებაში ინტონაციის ცენტრი შემასმენელია, მაინც დიდი დატვირთვა გადადის საკავშირებელ საშუალებებზე, რომელთაგან უპირველესი „და“ კავშირია, მისი ადგილი და ფუნქცია დომინირებს წინადადების ინტონაციურ სტრუქტურაში.

ამ შემთხვევებში „და“ კავშირს რიტმული მახვილის ფუნქციის შეთავსებაც შეუძლია და განაპირობებს წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურას.

„პარატაქსულ კონსტრუქციაში „და“ ინტონაციურად ხან პირველი კომპონენტის ენკლიტიკური კავშირ-ნაწილაკია, ხანაც მეორის პროკლიტიკური, რაც შემასმენლის ადგილითაცაა განპირობებული; კერძოდ, როდესაც შემასმენელი პირველი კომპონენტის თავშია, მაშინ, „და“ ინტონაციურად ამ კომპონენტის ენკლიტიკური ელემენტია“ (ჭიკაძე, 2014, 116):

ავილე და თავში ჩავაფარე, დააცილე-თქო (ხაფანგი, 293, 2); ვიშვირე ფეხი და ბაბუა სამსონის სამეზობლო ღობეს გადაველე (ხაფანგი, 294, 19); ვიცოდი, სამსონი შეუძლოდ იყო და ახლა ბებია ნინუცას კიდევაც რომ დავენახე, ხმას არ გაიღებდა (ხაფანგი, 294, 20); წამავლო ფეხებში ხელი და ძირს გადმოგდება დამიპირა (ხაფანგი, 296, 27); მაგრამ ვიცოდი, ამას არავინ დამაჯერებდა და ვიყვირე (ხაფანგი, 297, 13); დამდეს სკამლოგინზე და ნამეტანი რომ გამიჭირდა, ისევ ვიყვირე: (ხაფანგი, 297, 24); - გეტყვით, გამიშვით და გეტყვით! (ხაფანგი, 297, 23); იცოცხლე, გადმოუცვივდათ თვალები და მოეწვრათ ყბები! (ხაფანგი, 298, 23).

კიდევ უფრო გამოკვეთილია „და“-ს ინტონაციური პროკლიტიკურობა, როდესაც მეორე შემასმენლით გამოხატული მოქმედება გაძლიერებულია სათანადო ზმნისართებით:

და . ამიტომ ამის გამო იყო რომ საბალახოდ წასულ ძროხას აჩრდილივით უკან დავყვებოდი (შავი და თეთრი ძროხა, 62,24); **და > ტყავაძემ სწორედ ამის გამო** მოიხედა უკან და იკითხა:(იყო ერთი ქალი, 337, 4).

ამ შემთხვევებში „და“ კავშირი მტკიცებითი, დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციასაც ითავსებს.

ასეთსავე მიდრეკილებას ამჟღავნებს „და“ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ისეთ ინტონაციურ სტრუქტურაში, სადაც იგი პროკლიტიკურად ეკედლება მაქვემდებარებელ კავშირს და მტკიცებითო ელფერით მოსავს დამოკიდებული წინადადებით გამოხატული მოქმედების შინაარსს:

კაცმა ერთხანს უყურა და როცა ბაბემ თვალი მოარიდა, კითხვა განაგრძო (ქალი აგარაკზე, 330, 11); მერე უკან-უკან წავიდა და როცა ლიანდაგზე გადავიდა, ისევ მოიხედა (ჯარისკაცი დაბრუნდა, 349, 18); ცირკში ერთ ღამეს სკამებში ჩავიმალე და როცა ყველა წავიდა, ბაწარზე გავიარე, გავიარე და გამოვიარე (თამაში, 62, 35); მე ამან გამაკვირვა, და რადგან ცირა არ ჩანდა ისეთი გოგო, რომ თუ მოინდომებდა, რაიმე დარჩენოდა გაურკვეველი (ცირა, ანუ ხელნაკრავი სიყვარული, 180, 7); მოიგონეს და რადგან სარდიონზე უამისოდ მნიშვნელოვანი ვერაფერი თქვს (წყლის ქალი, 186, 21); დავინახე ისე, სხვათა შორის, და რადგან ყველას უნდოდა დაენახა... (ვარსკვლავთცვენა,თავი I, რიკ-ტაფელა, გვ.378, 23);

იმდენად კარგად და თვალმოუცილებლად გიყურებს, და რადგან ქალს ორი თვალი რომ ჩვეულებრივ წინ აქვს, ოთხი უკან, კეფაზე („შავი და ცისფერი მდინარე“ 154,9).

ასეთი ტიპის წინადადებებს სინტაქსურ-სემანტიკურთნ ერთად ქმნის ინტონაციური ფაქტორი; სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობით ვილბთ წინადადების სტრუქტურულ მთლიანობნას.

„და“ მიერთებითი კავშირის ფუნქციით

„და“ კავშირი ოტია იოსელიანის თხზულებებში ხშირად გვხვდება მიერთებითი კავშირის ფუნქციითაც. „და“ კავშირის მიერთებითი“ ფუნქციის შესახებ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა (სერგია, 1997, ჭიკაძე, 2014). განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ამ ფუნქციით „და“ კავშირის გამოყენების შემთხვევები მწერლისეულ რემარკებში:

- ჰაიკ, სად წახვალ, ასე! - და წვალებით გამოვფორთხდი (ხაფანგი, 293, 18); „ტყავამემ უთხრა, შენი და ჩემი საყვარელიაო?!“ - და ესღა გაიფიქრა მაკამ (იყო ერთი ქალი, 486, 12); -თუ ქვეყნად სიმართლე არ იქნება... - და ეს იყო ის, რაზეც ბაკურს უნდოდა ელაპარაკა (შავი და ცისფერი მდინარე, 113,4).

ამდენად, ოტია იოსელიანის პროზის ენაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საკმაოდ ვრცელია „და“ კავშირის სინტაქსურ-სემანტიკური და ინტონაციური პარადიგმები. სინტაქსურად „და“ ძირითადად მაერთებელი კავშირია (მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი), იშვიათად მაქვემდებარებელი, არც თუ იშვიათად მიერთებითი. სემანტიკურად, რთულ კონსტრუქციებში „და“-თი დაკავშირებულ კომპონენტთაგან წინამავალი გვიჩვენებს მიზეზს, პირობითობას ან დროულობას, ხოლო მომდევნო - შედეგს. ყველა ასეთ შემთხვევაში წინადადების სემანტიკა შედეგზეა ორიენტირებული. ინტონაციურად გამორჩეულია „და“ კავშირის ადგილი, ფუნქცია წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურაში.

ოტია იოსელიანის თხზულებებში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ „და“ კავშირიანი წინადადება საინტერესო ენობრივი ერთეულია, რომლის სტრუქტურულ მთლიანობასაც განაპირობებს როგორც სინტაქსურ-სემანტიკური, ისე ინტონაციური ფაქტორები.

ლიტერატურა:

1. გ. ახალაია, და კავშირი და რთული ქვეწყობილი წინადადება ქართველურ ენებში, საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.
2. დ. გრიქოროვა, თანწყობილ წინადადებაში შემავალი კომპონენტების სემანტიკური აღწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1983.
3. ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1973.
4. ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბ., 1962.
5. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბ., 1996.
6. ი. ნადარეიშვილი, „და“ კავშირის ხმარების სიხშირე ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციის პროცესში, სმა მოამბე, 57, #3, 1970.
7. ს. ჟღენტ, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, გამომცემლობა
8. „ცოდნა“, თბ., 1963.
9. ვ. სერგია, ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა, თბ., 1997.
10. მ. ძიდიგური, კავშირები ქართულ ენაში, თსუ გამომცემლობა, თბ., 1973.
11. რ. ჭიკაძე, ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2014.

Manana Mikadze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

ORCID:0000-0001-8490-4813

e-mail: mananamikadze123@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.08>**SJIF 2025:** 8.584

For the syntactic-semantic-intonational function of the conjunction “and” in Otia Ioseliani’s proze

Abstract

The Question of the functions and use of the conjunction “and” has been reised repeatedly in Georgian Linguistic.

The conjunction “and” is not only distinguished by its frequency of use, but also its syntactic-semantic and intonational parametrs are more interesting; in particular, the main function of “and” is syntactic-semantic connection of the components of a sentence; It is primarily a connection conjunction, rarely a subordinating conjunction, and even more rarely a conjunction. Considering various functions, we will discuss the syntactic-semantic and intonational parametrs of the conjunction ‘and’ in the prose langusge of Otia Ioseliani.

Key words: conjunction “and”, syntactic-semantic and intonational parametrs of the conjunction.

რეცენზენტი: პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა